სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/127

ქ. თბილისი

30 სექტემბერი 2022 წ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფაკულტეტებზე 2022-2023 სასწავლო წლის აკადემიური დატვირთვის შესასრულებლად პროფესორების მოწვევის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის –საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების" მე-8 მუხლის, ფაკულტეტების დეკანების სამსახურებრივი ბარათებისა და აკადემიური საბჭოს 2022 წლის 30 სექტემბრის №01-05-02/28 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ქვემოთ ჩამოთვლილ ფაკულტეტებზე 2022-2023 სასწავლო წლის პირველი და მეორე სემესტრის აკადემიური დატვირთვის შესასრულებლად მოწვეულ იქნენ შესაბამის დანართში მითითებული პროფესორები:
   1. სამშენებლო ფაკულტეტი (იხ. დანართი 1);
   2. ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტი (იხ. დანართი 2);
   3. სატრანსპორტო სისტემებისა და მექანიკის ინჟინერინგის ფაკულტეტი (იხ. დანართი 3);
   4. არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტი (იხ. დანართი 4);
   5. სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი (იხ. დანართი 5);
   6. ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტი (იხ. დანართი 6);
   7. დიზაინის საერთაშორისო სკოლა (იხ. დანართი 7);
   8. აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტი (იხ. დანართი 8);
   9. ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი (იხ. დანართი 9);
   10. საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი (იხ. დანართი 10);
   11. ენერგეტიკის ფაკულტეტი (იხ. დანართი 11);

2. მოწვეული პროფესორის შრომის ანაზღაურება განისაზღვროს საათში 36 ლარის ოდენობით, ხოლო მოწვეული ასოცირებული პროფესორის შრომის ანაზღაურება - საათში 27 ლარის ოდენობით.
3. ამ დადგენილების მე-2 პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილება მოწვეული პროფესორების შრომის ანაზღაურების განსაზღვრის თაობაზე დასამტკიცებლად გადაეცეს უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს (სენატს).
4. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №64).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე — დ. გურგენიძე

აკადემიური საბჭოს მდივანი — ი. კუტუბიძე